ჯგუფი ენერგო-პრო

დასაქმებულთა მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

2021

დასაქმებულთა მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შიდა)

1. შესავალი

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროენერგეტიკა. ჩვენ ვაწარმოებთ ჰიდროელექტროსადგურების ოპერირებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ასევე ჩართული ვართ ელექტროენერგიის დისტრიბუციისა და ვაჭრობის სფეროში, ვამუშავებთ მაშტაბურ სადისტრიბუციო ელექტროქსელებს ბულგარეთში და საქართველოში, 2.3 მილიონზე მეტი ელექტროქსელის მომხმარებლით.

ჩვენი კომპანია დაარსდა 1994 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სვიტავიში. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური გარდამავლობის პერიოდში კომპანია მონაწილეობდა ჰიდროელექტრო სექტორის მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციაში. ჩვენი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 1,243 მეგავატია, ხოლო წლიური გენერაცია 3.8 ტერავატ/სთ-ს აღემატება.

მულტინაციონალურ ჯგუფ „ენერგო-პროს“, რომლის სათაო ოფისი გახლავთ ქ. პრაღაში, ერთ-ერთი კომპონენტია წყლის ტურბინების მწარმოებელი სლოვენური კომპანია Litostroj Power d.o.o., რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს 60-ზე მეტ ქვეყანაში მსოფლიოს მასშტაბით. ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული მისი შვილობილი კომპანია Litostroj Engineering a.s. (ყოფილი ČKD Blansko Engineering, a.s.) ორიენტირებულია კვლევით, დაპროექტების და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე აწვდის ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობებს, მათ შორის ტუმბურ ჰიდროსადგურებს და სატუმბ სადგურებს.

2. რას ეხება ეს

ეს არის „ენერგო პრო“ ჯგუფის მონაცემების დაცვის პოლიტიკა (**"ჩვენ", "ჩვენ", "ჩვენი"**). მას უნდა დაემორჩილოს ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი, დროებითი მუშაკი, აგენტი და კონსულტანტი („თანამშრომლები“ თუ „თქვენ“), რომლებიც მუშაობენ „ენერგო-პროში“ ან მასთან ერთად.
ჩვენ ვფლობთ ჩვენი თანამშრომლების პერსონალურ მონაცემებს.
ეს პოლიტიკა ასახავს იმას, თუ როგორ ვცდილობთ დავიცვათ პერსონალური მონაცემები და უზრუნველვყოთ, რომ თანამშრომლებმა გაიგონ ის წესები, რომლებიც არეგულირებს მათი პირადი მონაცემების გამოყენებას, რომელზეც მათ აქვთ წვდომა მუშაობის პროცესში. კერძოდ, ეს პოლიტიკა მოითხოვს თანამშრომლებისგან, რომ ახალი მნიშვნელოვანი ოპერაციების დაწყებამდე მათ უზრუნველყონ კონსულტაციები მონაცემთა დაცვის ოფიცერთან (DPO), რათა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები.
ეს პოლიტიკა შეიცავს ინფორმაციას და მითითებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიზნესის ყველა სფეროში. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?
თუ ჩვენ პერსონალურ მონაცემებს პასუხისმგებლობით და კანონის სრული დაცვით არ მოვეკიდებით, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადამიანების ნდობაზე ჩვენი

ENERGO-PRO

ბიზნესის მიმართ. გარდა ამისა, ჩვენი გასაიდუმლოებული ბიზნეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და მოითხოვს ადეკვატურ დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შესაძლოა დავკარგოთ კონკურენტუნარიანობა, დაზიანდეს ჩვენი რეპუტაცია და დავდგეთ სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე.
რაც მთავარია, თუ ჩვენ არ ვიმოქმედებთ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონების შესაბამისად, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ჩვენი დაჯარიმება. (20 მილიონ ევრომდე და წლიური ბრუნვის 4%-დე).

3. ტერმინთა განმარტება

მნიშვნელოვანია გესმოდეთ შემდეგი ტერმინების მნიშვნელობა:
"მონაცემთა დაცვის კანონები" ეს ის კანონებია, რომლებიც არეგულირებენ პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის, მათი გამოყენებისა და დაცვის საკითხებს, მათ შორის GDPR (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია) და ნებისმიერი ადგილობრივი კანონი, რომელიც მოქმედებს იმ ქვეყანაში, სადაც მუშაობთ ან იმ ადამიანებზე, რომელთა ინფორმაციასაც იყენებთ.
„GDPR“ ეს არის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, რომელიც მოქმედებს მთელ ევროკავშირში („EU“) 2018 წლის 25 მაისის მდგომარეობით და ვრცელდება როგორც ევროკავშირის ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც რაიმე ფორმით იყენებენ პირთა პერსონალურ მონაცემებს.
"პერსონალური მონაცემები" ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. (ანუ პირი, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია პირდაპირ ან ირიბად, კერძო იდენტიფიკატორის მითითებით ან ერთი ან მეტი ფაქტორის საშუალებით, რომელიც სპეციფიკურია ამ პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, გენეტიკური, მენტალური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური იდენტობისთვის). იდენტიფიკატორებად გამოდგება სახელები, საიდენტიფიკაციო ნომრები, ადგილმდებარეობის მონაცემები და ონლაინ იდენტიფიკატორები.

მაგალითისთვის პერსონალური მონაცემები შეიძლება შევაგროვოთ შემდეგ პირებზე: მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, სააგენტოები, კონტრაქტით აყვანილი პერსონალი და სხვა თანამშრომლები, კლიენტები, მომწოდებლები და მარკეტინგთან დაკავშირებული კონტაქტები. მაგალითისთვის ჩვენ შესაძლოა შევაგროვოთ შემდეგი ტიპის პერსონალური მონაცემები: პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, განათლებასთან, ფინანსებთან და გადახდებთან, სერტიფიკატებთან და დიპლომებთან, კვალიფიკაციასთან, ოჯახურ მდგომარეობასთან, თანამდებობის დასახელებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და რეზიუმესთან დაკავშირებული მონაცემები.

როგორც წესი, სრულად ანონიმური ინფორმაცია (ანუ მონაცემები, საიდანაც ინდივიდის იდენტიფიცირება შეუძლებელია) და ასევე ინფორმაცია გარდაცვლილ ადამიანებზე არ ითვლება პერსონალურ მონაცემად.
“**სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემები**” მასში იგულისხმება პერსონალური მონაცემები, რომლებიც ავლენენ პიროვნების რასობრივ ან ეთნიკურ

წარმოშობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ მრწამსს, ფილოსოფიურ შეხედულებებს ან პროფკავშირის წევრობას. ასევე გენეტიკური და ბიომეტრიული მონაცემები, რომელიც საჭიროა ფიზიკური პირის ცალსახად იდენტიფიკაცისათვის და მონაცემები ჯანმრთელობის, სქესობრივი ცხოვრების ან სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

სპეციალური კატეგორიის მონაცემები (ზოგჯერ მოხსენიებულია ყოფილი სახელწოდებით „სენსიტიური პერსონალური მონაცემები“) მოითხოვს განსაკუთრებულ დაცვას, რადგან ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს პირს, რომელსაც ეკუთვნის ეს მონაცემები. სწორედ ამიტომ, ამ პოლიტიკის შესაბამისად მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს მათ დაცვაზე.

ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები არის ალბათ ყველაზე ტიპიური მონაცემები, რომლებსაც თქვენ შეხვდებით ამ კატეგორიაში (მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე გონებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას) და მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც ავლენს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

“**მონაცემთა დამუშავება**” იგულისხმება ნებისმიერი ოპერაცია, რომელიც სრულდება პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში, იქნება ეს მონაცემთა შეგროვება, აღრიცხვა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტაცია თუ შეცვლა, დაბრუნება, კონსულტირება, გამოყენება, გამჟღავნება გადაცემის გზით ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელმისაწვდომად გახდენა, შესწორება ან გაერთიანება, წვდომაზე შეზღუდვა თუ წაშლა/განადგურება.

“**დარღვევები მონაცემთა მიმართებაში**” იგულისხმება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დარღვევები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გადაცემული, შენახული თუ სხვაგვარად დამუშავებული მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, დაკარგვა და არაკანონიერი გავრცელება/წვდომა.

4. ფარგლები

ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა თანამშრომელზე. თქვენ უნდა გაეცნოთ ამ პოლიტიკას და შეასრულოთ მისი პირობები.

შესაძლოა დროდადრო დამატებითი დირექტივების სახით ცვლილებები შევიტანოთ ამ პოლიტიკაში, რომელსაც დამატებით აუცილებლად გაცნობებთ.

5. ვინ არის პასუხისმგებელი ამ პოლიტიკს დაცვაზე ?

ამ პოლიტიკის დაცვაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მონაცემთა დაცვის ოფიცერს. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს ამ პოლიტიკის დაცვა ყველა თანამშრომლის მიერ.

თუმცა მონაცემთა დაცვა ყველას ინტერესებში უნდა შედიოდეს და შესაბამისად ყველა თანამშრომელს ეკისრება ეს პასუხისმგებლობა. თუ კი თქვენ შენიშნავთ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ დარღვევას (ან პოტენციურ დარღვევას) შეგვატყობინეთ, იმოქმედეთ დაუყოვნებლივ და თუ კი საჭირო გახდა მოითხოვეთ დახმარება.

6. საქმის წარმოება

მონაცემთა კანონისმიერი, მართლზომიერი და გამჭირვალე დამუშავება

ჩვენ უნდა დავამუშავოთ პერსონალური მონაცემები ცალკეულ პირთა უფლებების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა დავამუშავოთ პერსონალური მონაცემები მანამ:

(a) ეს აუცილებელი არ იქნება, გამომდინარე ცალკეულ პირთან დადებული კონტრაქტის (მათ შორის შრომითი ხელშეკრულება) ან ჩვენზე დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად; ან

(b) აუცილებელია ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე და ამავდროულად არ ეწინააღმდეგება ცალკეულ პირთა უფლებებს მონაცემთა დაცვის შესახებ; ან

- პირი რომლის მონაცემებსაც ვამუშავებთ თანახმა არ იქნება.

თანხმობა იმის თაობაზე, რომ პირი თანახმაა თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უნდა იყოს ზუსტი, ერთმნიშვნელოვანი და დასაბუთებული. თანხმობის გამოცხადება ხდება განცხადების ან მკაფიო თანხმობის დამამტკიცებელი ქმედების საფუძველზე. უნდა შეინახოთ თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ კი ვინმე გადაიფიქრებს და უარს განაცხადებს მისი მონაცემების დამუშავებაზე, მაშინ ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ამ მონაცემთა დამუშავება.

შეძლებისდაგვარად, ჩვენ უნდა შევეცადოთ რომ დაგვთახმდნენ მონაცემთა დამუშავებაზე ერთ – ერთი ალტერნატიული მიზეზის გამო, რომელიც მოცემულია ზემოთ წარმოდგენილ პირველ პუნქტში. (განსაკუთრებით დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის). უმეტეს შემთხვევაში ეს დებულება შეეხება ბიზნეს მონაცემთა დამუშავების რუტინულ საქმიანობას.

სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემები

უმეტეს შემთხვევაში, როცა ჩვენ ვამუშავებთ სპეციალური კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, საჭიროა ამ მონაცემთა სუბიექტის მკაფიო თანხმობა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა ან თუ ამას არ გვავალდებულებს კანონი. (მაგ: კანონიერი ვალდებულებების შესასრულებლად, როცა საქმე ეხება ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას სამსახურში ან თუ ვინმე მძიმედ არის დაშავებული და არ შეუძლია თანხმობის მიცემა).

ნებისმიერი თანხმობა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს თუ რა მონაცემებზეა საუბარი, თუ რატომ ხდება მათი დამუშავება და ვისთვის არის ხელმისაწვდომი. პირმა წერილობით უნდა განაცხადოს თანხმობა. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი და დათარიღებული. ჩვენ ვიყენებთ თანხმობის შემდეგ ფორმას გარკვეული სამედიცინო მიზნებისთვის. (იხილეთ დანართი 1.)

მონაცემთა დამუშავება განსაზღვრული მიზნებისთვის

თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ იმაში, რომ პერსონალური მონაცემების შეგროვება ხდება განსაზღვრული მიზნებისთვის, რაც უნდა შეატყობინოთ მონაცემთა სუბიექტს.

სხვა მიზნებისთვის ამ მონაცემებს ვეღარ გამოიყენებთ. (ყოველ ჯერზე თქვენ დაგჭირდებათ თანხმობა მონაცემთა სხვა მიზნით გამოყენებაზე).

მონაცემთა შემცირება და სიზუსტე

ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, რომელსაც ჩვენ ვამუშავებთ, იყოს ზუსტი, ადეკვატური, შესაბამისი და არა გადაჭარბებული იმ მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც იგი იქნა მოპოვებული.

თქვენ პერიოდულად მოგიხდებათ მონაცემების შემოწმება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენ მიერ დაცული პერსონალური მონაცემები რჩება ზუსტი და საჭიროებისამების შემთხვევაში შეგიძლიათ განაახლოთ იგი. პირებს შეუძლიათ მოითხოვონ ჩვენგან, რომ შევასწოროთ მათი არაზუსტი პერსონალური მონაცემები. თუ კი თვლით, რომ ინფორმაცია არაზუსტია, ოქმი უნდა შეადგინოთ იმის თაობაზე, რომ ინფორმაციის სიზუსტე სადაოა და უნდა აცნობოთ ამის შესახებ მონაცემთა დაცვის ოფიცერს. ინფორმაცია, რომელიც არასწორი, არაზუსტი ან მოძველებულია შესაძლოა საჭიროებდეს განახლებას ან განადგურებას - თუ დარწმუნებული არა ხართ მაშინ გთხოვთ მიმართოთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ პერსონალური მონაცემების ფორმებისა და პროცესების საშუალებით ხდება მხოლოდ და მხოლოდ საჭირო ინფორმაციის შეგროვება. არ უნდა მოხდეს იმ მონაცემთა შეგროვება, რომელიც არ არის საჭირო იმ მიზნის მისაღწევად, რისთვისაც გროვდება ან შეგროვდა პერსონალური მონაცემები. დაინტერესებული პირის თანხმობის გარეშე ჩვენ არ დავამუშავებთ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მოპოვებულია სხვა მიზნებისთვის.

7. მონაცემთა უსაფრთხოება

ჩვენ უნდა დავიცვათ პერსონალური მონაცემები შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, დაკარგვის, შეცვლის, უნებართვო გამჟღავნების ან წვდომისგან. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა დავიცვათ უსაფრთხოების წესები და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ჩვენ ვალდებულნი ვართ განვახორციელოთ შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა უზრუნველვყოთ მონაცემების უსაფრთხოება. სიტუაციიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, მაგალითად:

- მონაცემებზე წვდომის უფლებების შეზღუდვა მხოლოდ კონკრეტულ უფლებამოსილ პირებზე (წვდომის კონტროლი);
- ანონიმური ან დაშიფრული მონაცემების გამოყენება;
- სამუშაო მაგიდებს და კარადებს უნდა ქონდეთ ჩასაკეტი მექანიზმები თუ კი მათში ინახება პერსონალური მონაცემები. (და კონფიდენციალური ინფორმაცია);
- პერსონალური მონაცემების საიმედოდ განადგურება. ქაღალდის დოკუმენტები უნდა დაქუცმაცდეს, ფლოპი დისკები, CD-ROMs-ები და USBs-ები ფიზიკურად უნდა განადგურდეს, თუ კი ისინი აღარ არის საჭირო; ან
- გამოიყენეთ აღჭურვილობა უსაფრთხოდ. დარწმუნდით, რომ მესამე მხარე, მაგალითად ვიზიტორები, ვერ ხედავენ პერსონალურ ინფორმაციას კომპიუტერის

მონიტორებზე. გამორთეთ თქვენი პერსონალური კომპიუტერები, როცა არ იმყოფებით ადგილზე.

განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ვიყოთ აპებთან და ქლაუდ სერვისებთან. არ შეიყვანოთ მონაცემები აპლიკაციაში პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის თანხმობის გარეშე.

ყოველთვის დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მოწყობილობები, რომლებსაც იყენებთ პერსონალურ მონაცემებზე წვდომისათვის დაშიფრულია და უზრუნველყოფენ ადეკვატურ დაცვას პირადი მონაცემების სხვებთან გაზიარებისას.

ჩვენთვის პრიორიტეტულია მონაცემთა უსაფრთხოება, მაგრამ ის კვლავ გამოწვევად რჩება ჩვენი ბიზნესისათვის. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ იმ ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების ეფექტურობის რეგულარული შემოწმება და შეფასება, რომელსაც ვიყენებთ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

მონაცემთა შენახვა

ჩვენ არ უნდა შევინახოთ პერსონალური მონაცემები საჭიროზე მეტ ხანს. თუ რამდენ ხანს არის საჭირო მათი შენახვა დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებაზე, იმ მიზეზების გათვალისწინებით, რის გამოც პერსონალური მონაცემები იქნა მოპოვებული, მაგრამ უნდა განისაზღვროს ჩვენი მონაცემების შენახვის გაიდლაინების შესაბამისად. (იხილეთ დანართი 2)

პერსონალური მონაცემების განადგურება თუ წაშლა უნდა მოხდეს უსაფრთხოდ.

თუ კი შესაძლებელია ინფორმაციის ისე დაშიფვრა, რომ ვერ მოხერხდეს კონკრეტული პირების იდენტიფიცირება, მაშინ სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებისათვის შესაძლებელია ამ ინფორმაციის უფრო დიდხანს შენახვა.

თქვენი პერსონალური მონაცემები

თქვენ უნდა გადადგათ შესაბამისი ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პერსონალური ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გვაქვს თქვენს შესახებ, არის ზუსტი და განახლებული, მაგალითად, თუ თქვენი პირადი გარემოებები შეიცვლება, შეატყობინეთ ადამიანური რესურსების დეპარტამენტს, რათა მათ შეძლონ თქვენი მონაცემების განახლება.

8. მონაცემთა გადაცემა საერთაშორისო დონეზე

არსებობს შეზღუდვები პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემებზე. მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ აგზავნით პერსონალურ მონაცემებს მიმღებს, რომელიც იმყოფება EEA–ს (ევროპის ეკონომიკური ზონა) გარეთ, არამედ როდესაც პერსონალურ მონაცემებზე წვდომა EEA–ს გარეთაც ხდება.

თქვენ არ უნდა გადასცეთ პერსონალური მონაცემები EEA–ს გარეთ (იგულისხმება ევროკავშირის ქვეყნები, ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია) მონაცემთა დაცვის ოფიცერთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე. საერთოდ, კონკრეტული კონტრაქტები ან

გადაცემის ალტერნატიული მექანიზმები უნდა არსებობდეს, სანამ მოხდება პერსონალური მონაცემები კანონიერად გადაეცემა EEA– ს გარეთ.
განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ, როდესაც ეძებთ მომწოდებლებს, რომლებიც იმყოფებიან EEA–ს გარეთ ან რომლებიც იყენებენ ქვეკონტრაქტორებს EEA–ს გარეთ მათი მომსახურების გარკვეული ასპექტებისთვის. ქლაუდ სერვისების გამოყენებისას, თქვენ უნდა შეამოწმოთ ის ადგილები, სადაც განთავსებულია მონაცემები და უზრუნველყოთ საერთაშორისო მონაცემთა გადაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა.

9. სუბიექტის მოთხოვნები წვდომაზე

GDPR-ის თანახმად (მონაცემთა დაცვის ზოგადი წესდება), პირებს აქვთ უფლება (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მოითხოვონ წვდომა მათ შესახებ შენახული ინფორმაციის ასლზე. ეს შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ მოსაზრებას, რაც თქვენ და სხვა თანამშრომლებმა დაამატეთ მათ ჩანაწერებს. ეს შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ მოსაზრებას, რომელიც თქვენ და სხვებმა დაამატეთ თქვენს პოსტებს. ზოგჯერ მათ უწოდებენ "SARs" (რაც ნიშნავს "სუბიექტის მოთხოვნები წვდომაზე").
პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ მონაცემთა შესწორება, წაშლა, წვდომაზე შეზღუდვა, პორტაბელურობა, ასევე გააპროტესტონ მონაცემთა დამუშავება და სხვა უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილებების ავტომატურ მიღებასთან და პროფილირებასთან.
ამ სხვადასხვა უფლებებს ეწოდება მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნები (DSRs). თუ თქვენ იღებთ DSR– ს, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს და დაიცავით პროცედურა, რომელიც წარმოდგენილია დანართი 3 – ში. ჩვენ შეიძლება მოგთხოვოთ, რომ დაგვეხმაროთ ამ მოთხოვნების შესრულებაში, მაგრამ თქვენ არ უნდა გვიპასუხოთ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან დაკავშირებამდე, თუნდაც მოთხოვნის დასადასტურებლად.
ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ რაიმე საფასური გადაგახდევინოთ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე რეაგირებისთვის, თუმცა თუ კი მოთხოვნა უსაფუძვლო და გადაჭარბებულია, განსაკუთრებით განმეორების შემთხვევაში, მაშინ შეიძლება დაგაკისროთ გადასახადი ადმინისტრაციული ხარჯებისათვის.
არცერთი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა არ არის სრულყოფილი- არსებობს გამონაკლისები და შეზღუდვები ისეთ ინფორმაციაზე, რომელზეც პირს აქვს წვდომის უფლება ან იმასთან მიმართებაში თუ რისი გაკეთება შეიძლება მოთხოვონ ორგანიზაციას მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად.

როგორ უნდა მოიქცეთ თუ კი გსურთ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შექმნა?
გთხოვთ დაუკავშირდეთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, თუ კი გსურთ შეასწოროთ ან გამოითხოვოთ ის ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვფლობთ თქვენზე ან გამოიყენოთ სხვა ზემოთ მოცემული თქვენი უფლებები.

10. მონაცემთა გაჟონვის შესახებ შეტყობინება

პერსონალის ყველა წევრი ვალდებულია განაცხადოს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული მიმდინარე ან პოტენციური დარღვევების შესახებ. ეს საშუალებას გვაძლევს რომ:

- შევისწავლოთ კონკრეტული დარღვევა და თუ საჭიროა გადავდგათ გამოსასწორებელი ნაბიჯები;
- შევატყობინოთ დარღვევის შესახებ მარეგულირებელ ორგანოებს ან პოლიციას, სადაც მიზანშეწონილია ამის გაკეთება.

ნუ დააყოვნებთ და დროულად განაცხადეთ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ დარღვევაზე - დრო გადამწყვეტი იქნება დარღვევის გასაკონტროლებლად და ჩვენ ასევე ვალდებული ვართ პირად მონაცემებთან დაკავშირებული დარღვევის შესახებ შევატყობინოთ შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს (ზოგადად 72 საათის განმავლობაში). ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

პრევენცია არის დაცვის ყველაზე ძლიერი ფორმა. თუ თქვენ ხედავთ რამეს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მონაცემთა უსაფრთხოებას, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ თქვენს მენეჯერს.

11. ტრეინინგი

ყველა თანამშრომელი გაივლის ტრენინგს ამ პოლიტიკის შესახებ. ახალი მონაწილეები გაივლიან ტრენინგს ინდუქციის პროცესის ფარგლებში. დამატებითი ტრენინგები ჩატარდება, როდესაც კანონში ან ჩვენს პოლიტიკასა და პროცედურებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება.

ტრეინინგი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

იგი მოიცავს:

- კანონს რომელიც ეხება მონაცემთა დაცვას;
- ჩვენს მონაცემთა დაცვას და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროცედურებს.

ტრეინინგის გავლა აუცილებელია.

მონაცემთა დაცვის ოფიცერი მუდმივად გააკონტროლებს ტრენინგის საჭიროებებს, მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ გჭირდებათ დამატებითი სწავლება შესაბამისი კანონის, ამ პოლიტიკის ან პროცედურების ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

12. მონიტორინგი

ყველამ უნდა დაიცვას ეს პოლიტიკა. ამ პოლიტიკის რეგულარულ მონიტორინგზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ პოლიტიკის დაცვა.

13. ამ პოლიტიკის შეუსრულებლობა

ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით ამ პოლიტიკის დაცვას.

ამ პოლიტიკის შეუსრულებლობა საფრთხეს გიქმნით ჩვენც და კომპანიასაც.

ეს პოლიტიკა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა ჩვენი პროცედურების შესაბამისად, რასაც საბოლოოდ შეიძლება მოჰყვეს თანამდებობიდან განთავისუფლება.

თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა ან რამე არ მოგწონთ ამ პოლიტიკასთან მიმართებაში, ყოყმანის გარეშე დაუკავშირდით მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

დანართი 1

თანხმობის ფორმა (ანკეტა) სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებისათვის

განცხადება

განცხადებაზე ხელის მომწერის

_____

(სახელი, მეორე სახელი და გვარი)

პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი (ან მასთან გათანაბრებული): _____, თანამდებობრივი მდგომარეობა:

0 კომპანიის თანამშრომელი

_____

0 კომპანიის თანამშრომლის მეუღლე, პარტნიორი და 18 წელზე უფროსი ასაკის ბავშვები

_____

0 უფლებამოსილი წარმომადგენელი

_____

0 სხვა/ გთხოვთ მიუთითოთ:

_____

ვაცხადებ:

რომ
თანხმობას ვაცხადებ

რომ ENERGO-PRO-ს შეუძლია დაამუშაოს და შეინახოს ჩემ მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები (მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები)

[0 განაცხადი ფინანსურ მხარდაჭერაზე [ნებისმიერი შესაბამისი ჯანდაცვის ფონდი];]
[0 განაცხადში აღწერილი სამედიცინო დოკუმენტაცია;]
[0 სხვა / გთხოვთ მიუთითოთ /:]

_____

მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია:

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის დადგენილებაში (EU) 2016/679, რომელიც ეხება ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვას, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან და მათ თავისუფალ მოძრაობასთან დაკავშირებით; და
- მონაცემთა დაცვის შესახებ ეროვნულ კანონებსა და დადგენილებებში,

ამ ზომას მივმართავ იმ მიზნით [მიზანი, როგორიცაა ფინანსური მხარდაჭერა იმ დაავადების სამკურნალოდ, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფოს და /თუ არცერთი სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მიერ.

მე ვიცი:

- რა მიზნით და საშუალებებით ხდება ჩემი პერსონალური მონაცემების (მათ შორის ჩემს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების) დამუშავება;
- რომ პერსონალური მონაცემების მიწოდება ნებაყოფლობითია;
- შეგროვებული მონაცემების წვდომასთან, შესწორებასთან და წაშლასთან დაკავშირებული უფლებები და ასევე მონაცემთა დამუშავების შეზღუდვასთან დაკავშირებული უფლება;
- ჩემი უფლებები, როცა არ ვეთანხმები მონაცემთა დამუშავებას და ასევე როგორ მოვითხოვო ჩემი პირადი მონაცემების მესამე მხარისთვის გადაცემა- პერსონალურ მონაცემთა მაკონტროლებელი პირი;
- როგორ მივმართო მონაცემთა დაცვის ეროვნულ ორგანოს ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საჩივრით [ჩასვით ვებ-გვერდის ბმული]
- ENERGO-PRO-ს ჯგუფში შემავალი კომპანიების მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემები [ჩასვით მონაცემთა დაცვის ოფიცრის ელ.ფოსტა]; და
- ის ფაქტი, რომ ENERGO-PRO– ს შეიძლება დასჭირდეს ჩემი პერსონალური მონაცემების (მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების) გადაცემა მსოფლიოს მაშტაბით და რომ ENERGO-PRO–ს სახელით შეუძლია გამოიყენოს მესამე მხარეები ჩემი პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად.

_____

(მე ინფორმირებული ვარ და ვეთანხმები მონაცემთა ისეთ დამუშავებას, როგორც ზემოდ არის აღწერილი)

თანხმობას ვაცხადებ საკუთარი ნებით და ისიც ვიცი, რომ ნებისმიერ დროს შემიძლია ნაწილობრივ ან მთლიანად უარი განვაცხადო თანხმობაზე ან უკან გამოვითხოვო ადრე მიცემული თანხმობა. ჩემი თანხმობის გაუქმება გავლენას არ ახდენს გაუქმებამდე თანხმობის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე.

[მე ინფორმირებული ვარ, რომ უარის შემთხვევაში (სრული/ნაწილობრივი), შესაძლებელია არ გაგრძელდეს ზემოაღნიშნული განცხადების განხილვა]

თარიღი: _____ განცხადება: _____
(ხელმოწერა)

ადგილი: _____

* ხელით შესავსები

დანართი 2

მონაცემთა შენახვის გაიდლაინები

თქვენი პერსონალური მონაცემები ინახება მხოლოდ დასახული მიზნის მიღწევამდე.

შრომითი ურთიერთობის წარმართვისას დამუშავდება მხოლოდ ის პერსონალური მონაცემები, რომლის დამუშავებასაც მოითხოვ კანონი და მათი შენახვა ხორციელდება შრომისა და სოციალური დაცვის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

მონაცემთა შენახვის შესახებ სამართლებრივი მოთხოვნების არარსებობის შემთხვევაში, მონაცემები შეიძლება ინახებოდეს 5 წლამდე ვადით.

დანართი 3

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნები

თუ თქვენ გსურთ წარმოადგინოთ მოთხოვნა იმ პერსონალური მონაცემების, რომელიც მანამდე მოგვაწოდეთ წვდომაზე, მათში შესწორებების შეტანაზე, დამუშავების შეჩერებაზე ან თუ გსურთ მიიღოთ პერსონალური მონაცემების ელექტრონული ვერსია სხვა კომპანიისთვის გადაცემის მიზნით, მაშინ დაგვიკავშირდით ელ.ფოსტის საშუალებით ([ჩასვით პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის ელ.ფოსტის მისამართი]). ჩვენ ვუპასუხებთ თქვენს მოთხოვნას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ნებისმიერი მოთხოვნა, უნდა შეიცავდეს იმ მონაცემების დეტალურ და ზუსტ აღწერას, რაზეც მიდის საუბარი. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვები თქვენს ვინაობასთან დაკავშირებით, შეიძლება მოგეთხოვოთ პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის ასლის მოწოდება. ის დაგვეხმარება თქვენი ვინაობის გადამოწმებაში. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი დოკუმენტი, მაგალითად პირადობის მოწმობა ან პასპორტი. თუ თქვენ მოგაწვდით რაიმე სხვა დოკუმენტს, პირადი მონაცემები, როგორიცაა თქვენი სახელი და მისამართი, მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს , რათა შეძლოთ თქვენი ვინაობის დადგენა, ხოლო ნებისმიერი სხვა მონაცემი, როგორიცაა ფოტო ან ნებისმიერი პიროვნული მახასიათებელი დასაშვებია, რომ ნაკლებად იკითხებოდეს.

თქვენი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენება მკაცრად შეზღუდულია: მონაცემები მხოლოდ თქვენი ვინაობის გადამოწმებისთვის იქნება გამოყენებული და არ იქნება შენახული იმაზე მეტ ხანს, ვიდრე საჭიროებს.

თქვენი მოთხოვნის ხასიათიდან გამომდინარე, გთხოვთ განმარტოთ რა პერსონალური მონაცემების შეცვლა გსურთ, გსურთ თუ არა თქვენი პერსონალური მონაცემების ამოღება ჩვენი მონაცემთა ბაზიდან, ან შეგვატყობინეთ რა შეზღუდვების დაწესება გსურთ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე. თუ სხვაგვარად შეგვატყობინეთ რა შეზღუდვები გსურთ გამოიყენოთ თქვენი პირადი მონაცემების. თქვენი დაცვის მიზნით შეგვიძლია შევასრულოთ ის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც ეხება თქვენს ანგარიშს, ელ.ფოსტის მისამართს, ანგარიშის სხვა ინფორმაციას ან თქვენთან დაკავშირებულ სხვა კონკრეტულ ინფორმაციას, რომელსაც თქვენ იყენებთ თქვენი მოთხოვნის გამოსაგზავნად, და რომელიც შესაძლოა დაგვჭირდეს თქვენი ვინაობის დასადგენად.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს გარკვეული ინფორმაციის შენახვა ჩანაწერების სახით. ასევე შეიძლება იყოს ნარჩენი ინფორმაცია, რომელიც დარჩება ჩვენს მონაცემთა ბაზებში და სხვა ჩანაწერებში და არ წაიშლება.

ჩვენ შევასრულებთ თქვენს მოთხოვნას (ებს) გონივრულ ვადაში.